1. სტუდენტს, რომელსაც სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში არსებული ტექნიკური ხარვეზის გამო წინაპირობის გარეშე აქვს მოსმენილი უცხოური ენის კურსი, უფლება მიეცეს, გამოტოვებული საფეხურის შესაბამისი ცოდნა დაადასტუროს სპეციალური გამოცდის საფუძველზე;

2. გამოცდის ჩატარება უზრუნველყოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრმა;

3. უცხოური ენის საფეხურის შესაბამისი საგამოცდო საკითხები მოამზადოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უცხოური ენების ცენტრმა;

4. სტუდენტის ცოდნა შეფასდეს ასქულიანი სისტემით; საგამოცდო საკითხები წარმოდგენილი იქნას ენის ფლობის განმსაზღვრელი კომპონენტების სახით. საგამოცდო საკითხების კომპონენტებში მიღებული ქულები მიჩნეულ იქნას შუალედური და საბოლოო შეფასების ტოლფარდად;

5. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტს მიენიჭოს შესაბამისი კრედიტი, რომელიც აისახება სტუდენტის სასწავლო ბარათსა და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში მისთვის განკუთვნილ სპეციალურ გრაფაში;

6. უცხოური ენის სასწავლო კურსის გამოტოვებული საფეხურის კრედიტების შესაბამისი დროის ანაზღაურება მოხდეს არჩევითი სასწავლო კურსების ან ე. წ. თავისუფალი კრედიტების ხარჯზე;

7. უცხოური ენის სასწავლო კურსის გამოტოვებული საფეხურის შესაბამისი ცოდნის აღნიშნული წესით დადასტურების მოთხოვნით სტუდენტმა უნდა მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.